



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# უსაფრთხოების მიმოხილვა

ზურაბ ბატიაშვილი

თურქეთ-საბერძნეთის დაპირისპირება და საქართველო: საფრთხეები და გამოწვევები

2020

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის  
ფონდი 2020

თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობები არასოდეს ყოფილა ადვილი, მაგრამ 2020 წლის ზაფხულიდან მათ შორის დაძაბულობამ საგრძობლად მოიმატა. თუ 2020 წლის ივნის-ივლისში მხარეები ერთმანეთს ძირითადად აია-სოფიას მუზეუმის მეჩეთად გადაკეთების საკითხს ედავებოდნენ, აგვისტო-სექტემბერში დაპირისპირების კერამ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვასა და ეგეოსის ზღვაში გადაინაცვლა. ამ „სივრცეში“ კი ათწლეულების განმავლობაში დაგროვებული არაერთი მოუგვარებელი საკითხი არსებობს - კვიპროსის პრობლემა, საზღვაო ეკონომიკური ზონების (შესაბამისად, იქ არსებული ბუნებრივი რესურსების) გამიჯვნის პრობლემა, 12 კუნძულისა და საჰაერო სივრცეების საკითხი, დაუსახლებელი პატარა კუნძულების კუთვნილების ამბავი და სხვა. ამას ემატება ბოლო პერიოდში გახშირებული საბრძოლო რიტორიკა ორივე ქვეყანაში, რაც ქმნის პატარა ინციდენტების დიდ სამხედრო ესკალაციაში გადაზრდის საშიშროებას და, თავის მხრივ, რეგიონულ უსაფრთხოებას (და მათ შორის საქართველოსაც) სერიოზულ საფრთხეებსა და გამოწვევებს უჩენს.

### სიტუაციის ესკალაცია

ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთებასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა, როდესაც ოფიციალურმა ანკარამ, 10 აგვისტოდან მოყოლებული, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში რამდენჯერმე გამოაცხადა ე.წ. Navtex-ის (გაფრთხილება გემებისთვის) ზონები იმ მიზნით, რომ იქ ჩაატარებდა სასარგებლო წიაღისეულის (ბუნებრივი აირი) მარაგების კვლევის სამუშაოებს, იმ საზღვაო სივრცეში, რომელსაც საბერძნეთი თავისად მიიჩნევს.<sup>1</sup> ეს Navtex-ები<sup>2</sup> და სამხედრო წვრთნები სექტემბერშიც გაგრძელდა.<sup>3</sup>

საგულისხმოა, რომ თურქეთმა ჯერ კიდევ 2019 წლის 27 ნოემბერს ლიბიის სარაჯის მთავრობასთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, გაიმიჯნა ორი ქვეყნის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები ხმელთაშუა ზღვაში. თურქეთი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მას ახალ საზღვაო საზღვრებში ბუნებრივი რესურსების მოპოვების უფლებაც ენიჭება. მაგრამ ეგვიპტეს, საბერძნეთსა და კვიპროსს უკანონოდ მიაჩნიათ ეს ხელშეკრულება და თვლიან, რომ შელახულია მათი ეროვნული ინტერესები.<sup>4</sup> ამ

---

<sup>1</sup> Türkiye'den yeni bir NAVTEX ilanı! 10-11 Ağustos tarihi verildi, <https://haberglobal.com.tr/dunya/turkiye-den-yeni-bir-navtex-ilani-10-11-agustos-tarihi-verildi-62364>

<sup>2</sup> Turkey issues new Navtex for East Med drills until Sept. 11, <https://www.dailysabah.com/politics/turkey-issues-new-navtex-for-east-med-drills-until-sept-11/news>

<sup>3</sup> Turkey and Turkish Cypriot forces to start military drill, <https://www.hurriyetdailynews.com/turkey-and-turkish-cypriot-forces-to-start-military-drill-157995>

<sup>4</sup> ზურაბ ბატიაშვილი, „ლიბიის კრიზისის „სირიოზაცია“: საფრთხეები და გამოწვევები“, <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2815>

მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ოფიციალური ათენი, რომელიც აცხადებს, რომ სწორედ მისი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ხარჯზე ცდილობს თურქეთი გაფართოებას.<sup>5</sup>



The Economist

*თურქეთი და საბერძნეთი ერთი და იმავე საზღვაო სივრცეს მიიჩნევენ თავისად.*

ოფიციალურმა ათენმა ამ კონფლიქტში პარიზის მიმხრობაც შეძლო, რომელიც ბოლო პერიოდში ისედაც ექვის თვალით უყურებს ხმელთაშუა ზღვაში ანკარის პოზიციების გაძლიერებას. შედეგად, საფრანგეთმა ღიად დაუჭირა მხარი საბერძნეთს და რეგიონში სერიოზული სამხედრო ძალაც (ავიამზიდი „შარლ დე გოლი“ და სამხედრო ავიაცია) გაგზავნა,<sup>6</sup> რითაც შეცვალა სამხედრო ბალანსი, რომელიც მანამდე აშკარად თურქეთის მხარეს იყო.

<sup>5</sup> Greece on alert as Turkey sends survey ship to disputed waters, <https://www.bbc.com/news/world-europe-53723984>

<sup>6</sup> France deploys “battle ready” aircraft carrier Charles de Gaulle to East Mediterranean, <https://www.keptalkinggreece.com/2020/08/31/charles-de-gaulle-aircraft-carrier-france-mditerranean>

აღსანიშნავია, რომ ანკარაში ნაკლებად ითვალისწინებენ დასავლეთის შეშფოთებას და საკუთარი დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებენ. თურქეთში სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანილი სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი ადმირალის - ჯემ გურდენიზის მიერ წამოყენებული ე.წ. „ცისფერი სამშობლოს“ დოქტრინა,<sup>7</sup> რომელიც თურქეთის საზღვაო სივრცის, ძირითადად, საბერძნეთის ხარჯზე გაფართოებას გულისხმობს.



*თურქეთის ე.წ. „ცისფერი სამშობლოს“ დოქტრინის ამსახველი რუკა, რომელიც საბერძნეთის კუნძულებსაც „ელაპავს“.*

ამასთან, საგულისხმო ფაქტია, რომ თურქეთის მმართველ პარტიასთან კოალიციაში მყოფმა „ნაციონალისტური მოძრაობის პარტის“ (MHP) ლიდერმა დევლეთ ბაჰჩელიმ 29 აგვისტოს განაცხადა, რომ 12 კუნძულის თემა (იგივე დოდეკანესის არქიპელაგი, რომელიც შედგება 12 დიდი და 150-ზე მეტი პატარა კუნძულისგან. ეს კუნძულები იტალიამ ოსმალეთს გამოსტაცა 1912 წელს და 1947 წელს საბერძნეთს გადასცა<sup>8</sup>), „თურქი ერის მოუშუმებელი ჭრილობაა“. ბაჰჩელისვე შეფასებით, აღნიშნული კუნძულები ათენს „უკანონოდ“ გადაეცა და საჭიროა გადაიხედოს მათი სტატუსი.<sup>9</sup>


<sup>7</sup> CEM GÜRDENİZ/ Neden Mavi Vatan?, <https://www.aydinlik.com.tr/arsiv/neden-mavi-vatan>

<sup>8</sup> United Nations Treaty Series 1956; No. 3297

<sup>9</sup> Bahçeli'den 12 Ada açıklaması, <https://www.iha.com.tr/haber-bahceliden-12-ada-aciklamasi-863803>

კუნძულების საბერძნეთისთვის გადაცემას თურქეთის კონსერვატიული და პროისლამური ძალები ათწლეულების განმავლობაში ეროვნული ინტერესების შელახვად და პოზიციების დათმობად მიიჩნევდნენ. მათ არასოდეს მოსწონდათ ლოზანის ხელშეკრულება (რითაც დადგინდა თურქეთ-საბერძნეთის საზღვარი), რომელსაც ათათურქის (შესაბამისად, ქემალისტების) მემკვიდრეობად მიიჩნევენ.<sup>10</sup>

ამგვარად, თურქეთმა არაპირდაპირი გზით ლოზანის ხელშეკრულებისა და, შესაბამისად, მეზობელი ქვეყნის (რომელიც ამავე დროს ნატოში მისი მოკავშირე და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა) საზღვრების გადასინჯვის საკითხი დააყენა.



*წითელი ფერით აღნიშნულია იტალიის მიერ 1947 წელს საბერძნეთისთვის გადაცემული კუნძულები, რომელთა კუთვნილების საკითხი სათუოდ აქცია ერდოღანის კოალიციურმა მოკავშირემ.*

როგორც აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების შემთხვევაში, ბევრმა მიმომხილველმა ამ საკითხთან დაკავშირებითაც გამოთქვა ვარაუდი, რომ მმართველი ძალა შესაძლოა

<sup>10</sup> Murat Yetkin, What's wrong with the Lausanne Treaty?, <https://www.hurriyetdailynews.com/opinion/murat-yetkin/whats-wrong-with-the-lausanne-treaty-104424>

ემზადებოდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისთვის და ამ ნაბიჯით კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩევლების ხმათა კონსოლიდაციას ცდილობდეს.<sup>11</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე არჩევნების გადმოწევის საკითხი არ განიხილება და, შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერდოლანმა იმოქმედა არა იმისთვის, რომ ერთხელ მოეგროვებინა ქულები, არამედ იმისთვის, რომ გრძელვადიან დღის წესრიგში არსებული კიდევ ერთი საკითხი წამოწეულიყო წინა პლანზე.

თურქეთის ეს პოლიტიკა შეშფოთებას იწვევს ევროკავშირში, რომელიც, ბუნებრივია, წევრი ქვეყნის (საბერძნეთის) მხარეს იჭერს. ევროპულ დედაქალაქებში სულ უფრო ხშირად ისმის მოწოდებები ანკარის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ.<sup>12</sup> ა.წ. 24-25 სექტემბერს ევროკავშირში საგანგებო სამიტის ჩატარება დაგეგმილი, სადაც განხილული იქნება თურქეთისთვის სანქციების დაწესების საკითხი.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ სანქციებთან დაკავშირებით კონსენსუსი ჯერჯერობით მიღწეული არაა. უფრო მკაცრი ზომების მომხრეები არიან საფრანგეთი, საბერძნეთი, კვიპროსი და ავსტრია, ხოლო უფრო ზომიერი პოზიცია უკავიათ გერმანიას, ესპანეთსა და იტალიას.<sup>14</sup>

შედარებით დაბალანსებული პოზიცია აქვს ვაშინგტონს, რომელსაც არ აწყობს დაპირისპირება ნატოს შიგნით. ამიტომ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურადაა ჩართული წინასაარჩევნო კამპანიასა და კორონას წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, სიტუაციის განმუხტვის მიზნით სატელეფონო მოლაპარაკებები გამართა თურქ და ბერძენ ლიდერებთან.<sup>15</sup> მეორე მხრივ, ისიც საყურადღებოა, რომ ვაშინგტონმა იარაღის ემბარგო მოუხსნა კვიპროსის რესპუბლიკას, რითაც გამოჩნდა, რომ შექმნილ სიტუაციაში მან უფრო ბერძნული მხარე დაიჭირა.<sup>16</sup>

მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა რუსეთმაც.<sup>17</sup> თუმცა მოსკოვმა, ამავე დროს, 8-22 და 17-25 სექტემბრისთვის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სასროლო წვრთნების ჩატარების შესახებაც განაცხადა.<sup>18</sup> წვრთნები

---

<sup>11</sup> Burhanettin Duran, Erdoğan'ın Müjdesi ve Erken Seçim,

<https://www.sabah.com.tr/yazarlar/duran/2020/08/21/erdoganin-mujdesi-ve-erken-secim>

<sup>12</sup> Fransa açıkladı: 'AB liderler zirvesinin ana gündemi Doğu Akdeniz olacak, [https://ahval.me/tr/dogu-akdeniz/fransa-acikladi-ab-liderler-zirvesinin-ana-gundemi-dogu-akdeniz-olacak?utm\\_term=Autofeed&utm\\_medium=Social&utm\\_source=Twitter#Echobox=1599421512](https://ahval.me/tr/dogu-akdeniz/fransa-acikladi-ab-liderler-zirvesinin-ana-gundemi-dogu-akdeniz-olacak?utm_term=Autofeed&utm_medium=Social&utm_source=Twitter#Echobox=1599421512)

<sup>13</sup> EU threatens Turkey with sanctions over Mediterranean drilling, <https://www.dw.com/en/eu-turkey-sanctions-mediterranean/a-54746538>

<sup>14</sup> Steven Erlanger, Rising Tensions Between Turkey and Greece Divide E.U. Leaders, <https://www.nytimes.com/2020/08/27/world/europe/greece-turkey-eu.html>

<sup>15</sup> Pompeo urges diplomatic talks as Turkey eyes Kastellorizo, <https://ahvalnews.com/eastern-mediterranean/pompeo-urges-diplomatic-talks-turkey-eyes-kastellorizo>

<sup>16</sup> Ayla Jean Yackley, Russia enters EastMed fray, offers to mediate with Turkey, <https://www.al-monitor.com/pulse/originals/2020/09/russia-east-mediterranean-mediate-turkey-greece-oil-gas.html>


<sup>17</sup> Ayla Jean Yackley, Russia enters EastMed fray, offers to mediate with Turkey, <https://www.al-monitor.com/pulse/originals/2020/09/russia-east-mediterranean-mediate-turkey-greece-oil-gas.html>

<sup>18</sup> Turkey issues Navtex in eastern Mediterranean for Russia drill, <https://www.trtworld.com/turkey/turkey-issues-navtex-in-eastern-mediterranean-for-russia-drill-39433>



ჩატარდება თურქული Navtex-ის ზონების გვერდით (ზოგან მოიცავს კიდეც მას), რაც, ანკარის დასავლეთთან დაპირისპირების ფონზე, მოსკოვის ერთგვარ მხარდაჭერად აღიქმება.

ამრიგად, ბევრს მიაჩნია, რომ მიუხედავად მოსკოვსა და ანკარას შორის არსებული არაერთი შეუთანხმებელი საკითხისა, სიტუაცია გარკვეულწილად მაინც დაემსგავსა დაახლოებით 100 წლის წინანდელ სურათს, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა დიდი დახმარება გაუწია დასავლეთის ძალების წინააღმდეგ მებრძოლ ქემალისტურ თურქეთს.<sup>19</sup>



*იასამნისფერი - თურქეთის მიერ გამოცხადებული Navtex-ის ზონები, ვარდისფერი - რუსეთის მიერ გამოცხადებული წვრთნების (სროლების) ზონები, 2020 წლის სექტემბერი*

### **თურქეთ-საბერძნეთის დაძაბულობა და საქართველო**

ოფიციალურ თბილისს თურქეთ-საბერძნეთის ბოლო დაპირისპირების საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია, რაც გასაგებიცაა - საქართველოს ინტერესებში არ შედის მის ორ მოკავშირე ქვეყანას შორის კონფლიქტის დაწყება. ჩანს, რომ თბილისი ამ საკითხთან დაკავშირებით ნეიტრალიტეტისკენ იხრება.

ამის მიუხედავად, არსებობს არაერთი ნიუანსი, რის გამოც სამეზობლოში მიმდინარე დაძაბულობა მაინც უარყოფითად აისახება ჩვენს ქვეყანაზე.

<sup>19</sup> Yunanistan'la olası çatışmada neler olur? Cem Gürdeniz yorumladı - Hafta Sonu 05.09.2020, <https://www.youtube.com/watch?v=9erqXu1fIG0&fbclid=IwAR1uAWO2m0NoB0Pz-tv0dtfe4Czclr169wQg-Y2NZ8dTETNBg5f12LL-BLo>



მას შემდეგ, რაც ევროპულმა ქვეყნებმა საბერძნეთს დაუჭირეს მხარი, ანკარასა და მოსკოვში გამოჩნდა, მართალია, ფრთხილი, მაგრამ მაინც ერთმანეთთან დაახლოების ნიშნები.

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის მიერ თურქეთის მხარდასაჭერი სასროლო წვრთნების შესახებ განცხადებას საინტერესოდ გასცეს პასუხი ანკარაში: „ცისფერი სამშობლოს“ დოქტრინის ავტორმა და თურქეთის ხელისუფლებასთან საკმაოდ დაახლოებულმა ყოფილმა ადმირალმა ჯემ გურდენიზმა პროსახელისუფლებო CNN Türk-თან ინტერვიუში წამოაყენა იდეა, რომ რადგან, მისივე თქმით, რუსეთსა და თურქეთს დასავლეთი „უტევს“, მხარეებმა ერთმანეთთან დაახლოება დაიწყონ და ამ მიზნით მოსკოვმა ცნოს ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“, სანაცვლოდ კი ანკარამ აღიაროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. „დამოუკიდებლობა“.<sup>20</sup>

აღსანიშნავია, რომ მანამდე მსგავსი მოწოდებით ასევე გამოვიდა თურქეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული პარტია „სამშობლოს“ ლიდერი დოღუ ფერინჩეკი, რომელიც სოხუმსაც კი ეწვია.<sup>21</sup>

#### დასკვნები:

- ანკარა-ათენის დაპირისპირება არ არის ერთი განცალკევებული საკითხი - ეს უფრო დიდი პროცესის ნაწილია, რომელსაც პირობითად თურქეთის „საკუთარ ფესვებთან“ დაბრუნების პროცესი შეიძლება ვუწოდოთ;
- თურქეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა და საბერძნეთი, როგორც ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოკავშირეები არიან. შესაბამისად, თბილისის ინტერესში არ შედის მათ შორის კონფლიქტი;
- ნატოს შიგნით დაპირისპირება ძალზე ხელსაყრელია კრემლისთვის, რომელიც წლების განმავლობაში ცდილობს განხეთქილების შეტანას ალიანსის რიგებში. ამგვარად, მოსკოვი შეეცდება ნატოს შიგნით არსებული ბზარის გაზრდას და ამ მიზნით განაგრძობს მხარეების წაქეზებას;
- ანკარა, დასავლეთთან დაპირისპირების ზრდის შემთხვევაში, კიდევ უფრო დაუახლოვდება მოსკოვს, რაც არ შედის საქართველოს ინტერესებში;
- თურქეთ-საბერძნეთის დაპირისპირება მალე ვერ მოგვარდება. მათ შორის არსებულ პრობლემებს ფუნდამენტური ხასიათი აქვს. შესაბამისად, თუ ამ ორ ქვეყანას შორის მოხერხდება შეთანხმების მიღწევა, ეს იქნება დადებითი, მაგრამ მაინც უფრო დროებითი მოვლენა;

<sup>20</sup> Yunanistan'la olası çatışmada neler olur? Cem Gürdeniz yorumladı - Hafta Sonu 05.09.2020, <https://www.youtube.com/watch?v=9erqXu1fIG0&fbclid=IwAR1uAWO2m0NoB0Pz-tv0dtfe4Czclr169wQg-Y2NZ8dTETNBg5f12LL-BLo>

<sup>21</sup> Doğu Perinçek: Türkiye Abhazya'yı tanıyacak, <http://vatanpartisi.org.tr/genel-merkez/haberler/dogu-perincek-turkiye-abhazya-yi-taniyacak-28830>

- წინა დამაბულობებისგან განსხვავებით, საბერძნეთმა შეძლო ევროპის ქვეყნების (განსაკუთრებით, საფრანგეთის) მხარდაჭერის მოპოვება, რის გამოც ათენი უფრო დარწმუნებული და გამბედავია საკუთარ ქმედებებში;
- მხარეთა შორის არსებობს სამხედრო ესკალაციის საფრთხეც. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, დასავლეთმა დაუშვას მათ შორის გრძელვადიანი სამხედრო კონფლიქტის ალბათობა. შესაბამისად, თუ კონფლიქტი მოხდება, სავარაუდოდ, მალევე დასრულდება, რაც არ ნიშნავს, რომ მხარეები მალევე შეძლებენ პრობლემების აღმოფხვრას;
- იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთმა თურქეთის პოლიტიკა აგრესიულ ქმედებად შეაფასა, გამორიცხული არაა გარკვეული სანქციების დაწესებაც. მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში კი, ძალზე დაზარალდება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი თურქეთი, რომლის ეკონომიკაც 2020 წლის II კვარტალში ისედაც 9,9%-ით შემცირდა, დევალვაციას განაგრძობს თურქული ლირა, იზრდება უმუშევრობა და ა.შ. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც, რომლისთვისაც თურქეთი პირველი სავაჭრო პარტნიორია;
- საქართველოსთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია ბოლო პერიოდში დაწყებული რუსეთ-თურქეთის დაახლოების პროცესი და თურქეთის ხელისუფლებასთან დაახლოებულ წრეებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები. სასურველია, ოფიციალურმა თბილისმა ანკარასთან მკაფიოდ დააფიქსიროს საკუთარი „წითელი ხაზები“, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, იგი გადადგამს სერიოზულ საპასუხო ნაბიჯებს.